

გრიპი A (H1N1) - განახლება 16

2009 წლის 5 მაისი – გრინვიჩის დროით 16:00 საათისთვის ოცდაერთმა ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა გრიპის A (H1N1) ინფექციის 1490 შემთხვევის შესახებ.

მექსიკა იტყობინება 822 დადასტურებული შემთხვევის შესახებ, 29 გარდაცვალებით. შემთხვევათა გარკვეული ნაწილის სინჯები ლაბორატორიული ტესტირების პროცესშია.

აშშ-ს მთავრობამ განაცხადა 403 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის შესახებ, ერთი გარდაცვალებით.

ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების შესახებ გარდაცვალების გარეშე აცხადებენ შემდეგი ქვეყნები: ავსტრია (1), კანადა (140), ჩინეთი, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული (1), კოსტა რიკა (1), კოლუმბია (1), დანია (1), სალვადორი (2), საფრანგეთი (4), გერმანია (9), ირლანდია (1), ისრაელი (4), იტალია (5), ჰოლანდია (1), ახალი ზელანდია (6), პორტუგალია (1), კორეის რესპუბლიკა (2), ესპანეთი (57), შვეიცარია (1) და გაერთიანებული სამეფო (27).

დაავადებული ადამიანებისთვის მიზანშეწონილია საერთაშორისო მგზავრობების გადადება, ხოლო მათთვის, ვისაც გამოუვლინდებათ სიმპტომები საერთაშორისო მგზავრობისას, მიმართონ სამედიცინო დახმარებას, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობით. პირადი დაცვის მიზნით მიზანშეწონილია ხელების გულმოდგინე, რეგულარული დაბანა საპნით და წყლით, ხოლო გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომების განვითარებისას მიმართვა სამედიცინო დახმარებისთვის.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ თვლის მიზანშეწონილად შეზღუდვის დაწესებას რეგულარულ მგზავრობებზე ან საზღვრების ჩაკეტვას.

არ არსებობს დაინფიცირების რისკი თერმულად კარგად დამუშავებული ღორის ხორცის და სხვა პროდუქტების მოხმარების შემთხვევაში.

ინფორმაცია სიტუაციის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება ჯანმოს ვებ გვერდზე რეგულარულად.